2025

კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორები

კვლევის ანგარიში

შპს ბარაკონი
LLC BARAKONI

სარჩევი

დოკუმენტის შესახებ 3
კვლევის მიზანი 3
კვლევის ამოცანები 3
კვლევის ანალიზი 4
ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები 7

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია კოლეჯი ბარაკონის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, რადგან დადგენილიყო პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორები.

დოკუმენტი მოიცავს კვლევის მიზანს, ამოცანებს, გამოკითხვის შედეგების ანალიზს, ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი. კვლევა მიზნად ისახავდა გამოვლენილიყო ის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს პროფესიული სტუდენტების სწავლა-სწავლების პროცესსა და მათ საბოლოო აკადემიურ შედეგებზე, რათა შემდეგ შემუშავებულიყო მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის მისაღწევად, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. პროფესიული სტუდენტების მოტივაციისა და მოლოდინების შესწავლა:
   - პროფესიის არჩევის განმაპირობებელი მთავარი მოტივების (შინაგანი და გარეგანი) გამოვლენა.
   - სასწავლო პროგრამის შინაარსისა და სირთულის შესახებ სტუდენტების წინასწარი მოლოდინებისა და რეალური გამოცდილების შედარება.
   - სახელმწიფო დაფინანსების როლის შეფასება სტუდენტების გადაწყვეტილებაზე.
2. სასწავლო პროცესის აღქმისა და შეფასების ანალიზი:
   - სასწავლო პროცესის სირთულის, დასწრების ფორმატისა და საკონტაქტო საათების რაოდენობის მიმართ პროფესიული სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა.
   - პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელზე მოქმედი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების (დასაქმება, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი) გამოვლენა.
3. აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება:

- პროფესიული სტუდენტების მიერ გამოყენებული ყველაზე ეფექტიანი სწავლის სტრატეგიებისა და უნარ-ჩვევების დადგენა.
- სასწავლო პროცესში სტრესის გამომწვევი მთავარი ფაქტორების (შეფასების სისტემა, მასალის მოცულობა, დროის დეფიციტი) იდენტიფიცირება.
- სწავლის შედეგების დადასტურების არსებული მექანიზმების (დადასტურების ფორმატი) მიმართ პროფესიული სტუდენტების დამოკიდებულების ანალიზი.

4. სასწავლო გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობების მოძიება:

- პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებისა და მოთხოვნების სისტემატიზაცია, რომლებიც მიმართულია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე.
- სასწავლებლის მხრიდან პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო მხარდაჭერის ტიპების (აკადემიური, ფსიქოლოგიური, კარიერული) გამოკვეთა.

კვლევის ანალიზი

კვლევის ფარგლებში, გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით და გამოიკითხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები. კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ (მრავალჯერადი არჩევანი), ისე თვისებრივ (ღია კითხვები) კითხვებს. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი წარმოადგენს შეგროვებული ინფორმაციის სინთეზს და მიზნად ისახავს ძირითადი ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლო გაუმჯობესების გზების გამოკვეთას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 44-მა პროფესიულმა სტუდენტმა. რესპონდენტთა უმრავლესობა (88.6%) ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული სტუდენტია, რაც ანალიზს განსაკუთრებით რელევანტურს ხდის ამ სფეროსთვის - ფარმაცია (სააფთიაქო): 24 პროფესიული სტუდენტი (54.5%), საექთნო საქმე: 15 პროფესიული სტუდენტი (34.1%), ინფორმაციული ტექნოლოგია: 5 პროფესიული სტუდენტი (11.4%).

დიაგრამა #1 - გთხოვთ, მიუთითოთ პროგრამა, რომელზეც სწავლობთ.



გამოკითხულ რესპოდენთა უმრავლესობა პროფესიას პირადი ინტერესით ირჩევს, რაც მაღალი შინაგანი მოტივაციის მაჩვენებელია. მათ ნახევარზე მეტი სწავლას დაფინანსების გარეშეც გააგრძელებდა, თუმცა, საყურადღებოა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ნახევარს (50 %) პროგრამის დაწყებამდე არ ჰქონდა/ნაწილობრივ ჰქონდა გაცნობიერებული სასწავლო კურსის შინაარსი, რაც შეიძლება მომავალში გარკვეულ სირთულეებს იწვევდეს.

დიაგრამა #2 - პროგრამაში ჩართვამდე, რამდენად გქონდათ გაცნობიერებული წინასწარ რისი შესწავლაც მოგიწევდათ?



გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 47.7% მიიჩნევს, რომ პროგრამა არ არის რთული, ხოლო 43,2%-ს პროგრამის ათვისება ნაწილობრივ უჭირს. დასწრების ფორმა და საათების რაოდენობა უმრავლესობისთვის მისაღებია, თუმცა არსებობს პროფესიულ სტუდენტთა სეგმენტი (დაახლოებით 15-25%), რომელიც მეტ მოქნილობას, ონლაინ სწავლების შესაძლებლობას და საკონტაქტო საათების შემცირებას ისურვებდა, ძირითადად სამსახურთან შეთავსების მიზნით. პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობა 81.8% კმაყოფილია საკუთარი აკადემიური შედეგებით, თუმცა საყურადღებოა, რომ

რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი (18.2%) მხოლოდ „ნაწილობრივ კმაყოფილია“. ეს მიუთითებს, რომ არსებობს ფაქტორები, რომლებიც მათ ხელს უშლის სრული პოტენციალის გამოვლენაში. ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა იყოს საკონტაქტო საათზე დასწრების სიხშირე, ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთა ნახევარი (50%) აღნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად ახერხებს საკონტაქტო საათებზე დასწრებას. აქვე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რაც გავლენას ახდენს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების სიხშირეზე.

დიაგრამა #3 - რა ახდენს ზეგავლენას თქვენი დასწრების სიხშირეზე?



პროფესიული სტუდენტები წარმატების მისაღწევად ყველაზე ხშირად ეყრდნობიან ტრადიციულ უნარებს, როგორიცაა ჩანაწერების გაკეთება ლექციების დროს და დროის სწორი მენეჯმენტი. ამავდროულად, სტრესის მთავარი გამომწვევი მიზეზებია შეფასების პროცესი (29.5% - 13 სტუდენტი) და სწავლის სხვა საქმიანობასთან (ძირითადად სამსახურთან) შეთავსების სირთულე (40.9% - 18 პროფესიული სტუდენტი). ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს აძლიერებს: დატვირთული გრაფიკის გამო პროფესიულ სტუდენტებს უჭირთ დიდი მოცულობის მასალის ათვისება, რაც გამოცდებზე სტრესს ზრდის.

სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურა პროფესიული სტუდენტებისთვის სტრესის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ინსტრუმენტების არსებული ფორმატი, რომელიც დამახსოვრებასა და დიდი მოცულობის წერას მოითხოვს, არაპოპულარულია. შეფასების სისტემასა და პროცედურებზე მსჯელობის ნაწილში გამოიკვეთა რამდენიმე მკაფიო და განმეორებადი თემა.

- ნეგატიური დამოკიდებულება ღია ტიპის კითხვების მიმართ: პროფესიული სტუდენტების დაახლოებით 25-30% უკმაყოფილოა იმით, რომ შეფასება ძირითადად ეფუძნება მასალის ზეპირად დამახსოვრებას და შემდეგ მის წერილობით გადმოცემას. გამოყენებული სიტყვებია: „ფიზიკურად შეუძლებელია ამდენის დაზეპირება“, „ძალიან ბევრი საწერია“, „დისკომფორტს იწვევს“.
- მოთხოვნა დახურულ კითხვებზე მრავალი არჩევითი პასუხით: პროფესიული სტუდენტების

უმრავლესობა, ვინც ამ კითხვას უპასუხა, უპირატესობას ანიჭებს ტესტურ ფორმატს. მათი აზრით, ეს უფრო მისაღები, კომფორტული და ცოდნის შესამოწმებლად ეფექტიანია. ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტი წერს: „ჩემთვის მისაღებია ტესტირების ის სახე, რომელშიც შემოსახაზია სავარაუდო პასუხი“.

- მასალის დიდი მოცულობა: რამდენიმე პასუხში ხაზგასმულია, რომ პრობლემაა არა მხოლოდ ფორმატი, არამედ შესასწავლი მასალის დიდი მოცულობაც, რომლის ათვისებაც მოკლე დროში უჭირთ.
- ნეიტრალური/დადებითი შეფასება: მცირე ნაწილი (დაახლოებით 15%) მიიჩნევს, რომ პროცედურა მისაღებია და პრობლემას ვერ ხედავს.

კვლევამ აჩვენა, რომ პროესიული სტუდენტები მაღალი შინაგანი მოტივაციით გამოირჩევიან და თავად ირჩევენ მომავალ პროფესიას. მათი უმრავლესობა კმაყოფილია სწავლის ხარისხით, თუმცა აწყდება მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ყველაზე ხშირი აქცენტი შეფასების ფორმატზეა (ნაკლები საწერი და მეტი ტესტური დავალება) და მეტ მოქნილობაზეა (მეტი ონლაინ კომპონენტი და მოქნილი გრაფიკი, რათა სწავლა სამსახურს შეუთავსონ).

ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები

პროფესიული სტუდენტები დადებითად აფასებენ კოლეჯის გარემოს და პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობის მუშაობას, რაც კარგ საფუძველს ქმნის გამოკვეთილი გამოწვევების გადასაჭრელად:

- სწავლისა და სამსახურის შეთავსების სირთულე, რაც იწვევს დასწრების პრობლემებს და მოითხოვს უფრო მოქნილ სასწავლო გრაფიკს.
- შეფასების სისტემის სტრესულობა, რომელიც ორიენტირებულია დიდი მოცულობის მასალის დამახსოვრებასა და წერილობით გადმოცემაზე.

გამოკვეთილი გამოწვევებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

- შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა - წერითი დავალებების მოცულობის შემცირების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით;

- სასწავლო პროცესის მოქნილობის გაზრდა - თეორიული მოდულების დისტანციური სწავლება/ ჩაწერისა და ონლაინ პლატფორმაზე განთავსების შესაძლებლობა, რათა დასაქმებულმა პროფესიულმა სტუდენტებმა მასალის ათვისება შეძლონ;
- პროფესიული ორიენტაციის გაძლიერება - პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდეს უფრო დეტალური საინფორმაციო შეხვედრები თითოეული პროგრამის სპეციფიკის, სირთულისა და შინაარსის შესახებ, რათა მათი მოლოდინები თავიდანვე რეალისტური იყოს.